თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL

განკარგულება:გ-27. 27230872
თარიღი:28/03/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №16**

**28 მარტი 2023 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

**1.** შეტანილ იქნეს საპრივატიზაციო ნუსხაში თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ნაფარეულში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 53.14.40.376) განთავსებული №1,№2, №3 შენობა ნაგებობები (მიწის ნაკვეთის გარეშე) და სოფელ ლაფანყურში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 53.14.32.042) განთავსებული №1, №2, №3 შენობა ნაგებობები (მიწის ნაკვეთის გარეშე).
**2**. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების სსაპრივატიზაციო გეგმა დამტკიცდეს დანართის შესაბამისად.
**3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
**4.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

**დანართი**

**საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი უძრავი ქონება და პრივატიზების გეგმა**

| № | ქონების დასახელება | მისამართი | საკადასტრო კოდი | შენობა-ნაგებობის ფართობი | საწყისი საპრივატიზებო ღირებულება (ლარი) | აუქციონის ფორმა | გადახდის პერიოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1, N2 და N3 შენობა-ნაგებობები მიწის ნაკვეთის გარეშე | სოფ. ნაფარეული | 53.14.40.376 | **N1**<br>1235.24 კვ.მ.<br><br>**N2**<br>8.9 კვ.მ.<br><br>**N3**<br>9.6 კვ.მ. | 43 010 | <u>პირობიანი ელექტრონული აუქციონი</u><br><br><u>I პირობა:</u> აუქციონში გამარჯვებულმა აუქციონის დასრულებიდან **60 დღის** ვადაში უზრუნველყოს:<br><br>**N1** -1235.24 კვ.მ.<br>**N2** – 8.9 კვ.მ.<br>**N3** – 9.6 კვ.მ.<br>შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (არსებული დემონტაჟის პროექტის შესაბამისად), ტერიტორიის დასუფთავება და მოსწორება, დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალების სანაცვლოდ;<br><br><u>II პირობა:</u> აუქციონში გამარჯვებულმა აუქციონის დასრულებიდან **15 დღის** ვადაში უზრუნველყოს:<br><br>სანებართვო მოსაკრებლის გადახდა განაშენიანების ფართის მიხედვით, თითოეული კვადრატული მეტრისთვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით. | **15 დღე** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1, N2 და N3 შენობა-ნაგებობები მიწის ნაკვეთის გარეშე | სოფ. ლაფანყური | 53.14.32.042 | **N1** 1207.9 კვ.მ.<br><br>**N2** 40.7 კვ.მ.<br><br>**N3** 2.3 კვ.მ. | 15 075 | **პირობიანი ელექტრონული აუქციონი**<br><br>**I პირობა:** აუქციონში გამარჯვებულმა აუქციონის დასრულებიდან **50 დღის** ვადაში უზრუნველყოს:<br><br>**N**1 -1207.9 კვ.მ.<br>**N2** – 40.7 კვ.მ.<br>**N3** – 2.3 კვ.მ.<br><br>შენობა-ნაგებობების დემონტაჟი (არსებული დემონტაჟის პროექტის შესაბამისად), ტერიტორიის დასუფთავება და მოსწორება, დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალების სანაცვლოდ;<br><br>**II პირობა:** აუქციონში გამარჯვებულმა აუქციონის დასრულებიდან **15 დღის** ვადაში უზრუნველყოს:<br><br>სანებართვო მოსაკრებლის გადახდა განაშენიანების ფართის მიხედვით, თითოეული კვადრატული მეტრისთვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით. | **15 დღე** |